ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება:**გ-49. 49242684**

თარიღი:**24/09/2024**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში, შპს „ჯეოვიტ გრუპ“-ის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.12. 37 . 829) საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით განაშენიანების დეტალური გეგმის ინიციირების შეთანხმების თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 10 სექტემბრის №48-4824254140 წერილი , რომელშიც აღნიშნავს, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა, შპს „ჯეოვიტ გრუპ“-ის დირექტორის ზურაბ ლოლაძის 2024 წლის 18 აგვისტოს N48242311-03 წერილი, რომლითაც ითხოვენ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში, საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.12.37.829) საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით განაშენიანების დეტალური გეგმის ინიცირების თაობაზე თანხმობას, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია თანახმაა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში, შპს „ჯეოვიტ გრუპ“-ის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.12.37.829) საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, თანდართულ პროექტში წარმოდგენილი მასშტაბითა და შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 43-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ბ.გ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-6-ე და მე-7-ე პუნქტების შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებულ იქნეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილება - თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში, შპს „ჯეოვიტ გრუპ“-ის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.12.37.829) საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, თანდართულ პროექტში წარმოდგენილი მასშტაბითა და შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი